

რედამცია

მოღნიის (ბბას-ბბატის) მადეანზე, შორლანოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედამციაში და სტ. მელიქიველის სტამბაში. მალაქ გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაქმის უასი

წელიწადში — 8 მან., ნახეარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირკობით, ოთხუბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანკულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მოცურულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტი — 4 კაპ.

ითუ საქროება მოიტხოვს, რედამცია გაახლოვებს და შუამოკლებს გამოგზავნის სტატუტებს. ღებუქდელი სტატია ავტომატურად აღუბოუნდება.

საქართველო

მცირე რამ ახალ-დგებაზე

ის ყანა, რომელშიაც ბალახ-ბულახი ძალიან გამრავლებულია, აღარ ღირს გასამარგელოებათ; იმაზედ შრომის მიღება ცუდ-უბრალოდ მოცდე ნა იქნება; მაგრამ ის ყანა კი, რომელიც მოსაყლის გვექადის და რომელშიაც მხოლოდ იქა-აქა, შიგა და შიგ ურევი ურგები და მდენებელი მცენარე, ყოველს შემთხვევაში მოითხოვს ზრუნვას და გულ-მხურვალე მეთურნესაც მითამ შეაქეს იქ თოხ!

გამოთხნის დროს ხშირად მოედება ხოლმე ბასრი იარაღი კეთილ-ნაყოფსაც და ძირში ჰქვეთავს; მაგრამ უშიშობაც არ მოხერხდება: მართალია, ერთი ღერი კი იჭრება შეცდომით, მაგრამ მაგიერში ათასი სხვა მასთან იხარებს.

ღა იმის მორიდებით, რომ შეცდომით ერთი ღერი კარგი ნამყოფი არ მოესჭარა, მუშამ რომ სულ თავი დაანებოს მარგელას, მთელს ყანას მითი ღიდ-ენებას მისცემს, რადგანაც ბალახ-ბულახი გაიხარებს, გამრავლდება, კარგი ნამყოფების წილსაზრდის თვითონ შეიწოვს, დააჩრდილებს თვით ნამყოფსაც და ბოლოს სულაც გაახშობს.

არა რა გაეწყობა: მოსჭრას შეცდომით ერთი-ორი ღერი კარგიც; თუკი უამისობა არ მოხერხდება.

ამან ვერ უნდა შეაშინოს გულმხურვალე მეთურე. — რა ექნათ! ჯერჯერობით კიდევ ყოველი კეთილი საქმე მოითხოვს მცირეოდენს მსხვერპლს!...

ამის შემდეგ მკითხველი მიხედვით, თუ ჩვენ დღეს რათ ვცხვებით ახალ-დგებას ანუ, როგორც საზოგადოთ შემოღებულა ჩვენში, „სტუდენტებს“, რომელიც უნდა გეჰყოთ სამ გუნდით.

პირველს შეადგენენ ქართულ-ტებო, მეორეს — გაიძეებებსა და მესამეს — მუშებო.

დღეს ჩვენ თვითთული ამგათგანი უნდა დავზომოთ, ავსწონოთ, დავაუბროთ და ისე გამოვიყენოთ ასაარეზხედ.

ჩვენ ძნელად მიგვაჩნია ამის აღრულება, მაგრამ იმედი გვაქვს, რასაც ჩვენ საკუთრად ვერ შევძლებთ, იმაზედ სხვებიც დაგვეხმარებიან. ქერძო რამ მიდგომილებას აქ ადგლი არ ექნება! უნდა შავი შავით გამოვიჩინოთ და თვითრი თვითრად!.. დრო არის პირ-ბადე მოიხსნას! ბევრო ამდენი გამოცანები, რაც ყოფილა

დღემდი და ან რაც იქნება, ჩვენ იმას ვერ არ შევეცებით, აქ მხოლოდ დღეს რასაც ვხედავთ იმაზედ ვისაუბრებთ. დრო არის, რომ ცრუ ღმერთები ძირს ჩამოვარდენ, შეზვერებმა შეინანონ და ფარისევლები გამოაშკარავდენ!

დრო არის, ამასა გეთხოვს ის შემდეგი დგმა, რომელიც აპირობს სწორ გზაზედ ფეხის დადგმას და ჩვენც, აწ თვითქმის დასაყელეთისკენ მიმავალბი, ვალდებულები ვართ გამოვსტკეათ ის, რაც დღემდის გულში უხმათ გვიკვებოდა და გამოვსტკეათ იმდენათ, რასაკვირველია, რამოდენი თქმის ნებაც გვექნება.

მართალე შუტები

ბევრი რომ ჯოხზედ შესჯდება და დაიწყებს ხეხინით ვბოში კუნტრუსს, მაშინ იმას თავისი ჯოხის ცხენი რაშათ მიაჩნია და თავის თავიც უპირველესი მხედარი ჰგონია... ან და როდესაც ემწვილები თოვლის გუნდს ავგორებენ, გააკეთებენ ცოხეს და მერე ორბირად გაყოფილნი იერიშით მიადგებიან ხოლმე ციხეს ასაღებათ, მაშინ იმათაც თავი მართლა მფომრებათ მიაჩნიათ...

ამ გვარ მოთამაშე ემწვილებს წარმოგვიდგენენ დღეს ჩვენ ზოგიერთა ქართულთა ახალ-გაზდები!...

ვაკითხვენ თუ არა ერთს რამე წიგნს, თავი ფილოსოფოსი ჰგონიათ; თუ სხვასაც წაუკითხავს არა თუ ის წიგნი, ათასი სხვაც ამისთანა და წაუკითხავთ უფრო შესარგებლათაც, ამის წარმოდგენა აღარ შეუძლიანთ და ტიკებივით დაბერილები და ღრმად ჩაფიქრებულები დაძანდებიან თითქოს ქვეყნის ტვირთი მათ ზურგზედ იდოს.

ადილი საცნობები არიან ეს ბატონები: შინაგან ღირსებას მოკლებულები სცდილობენ, რომ გარეგნობით გამოიჩინონ თავი და ხალხის წინ პარზადით დიარებიან. ძალიან გულითაც რომ ცენებოდესთ რამეზედ, მაინც ვერ ბედევენ გაკინებას, რომ ვი თუ ხალხმა აღარად ჩავადგოს და მაშინ რაღა გვეშველებოა. ამ ქართულთულ თავ-მოყვარებას ჰსწირავენ თივის დღეს და სოფელს.

მით ამ ქართულთაგანს, რომ ჰკითხოთ მაგალითად: — დროს შეუძლიან გაფრენა თუ არა-თქო? ნუ გგონიათ, რომ მალე გიბასუხოსთ რამ! არა, ვერ სახეს მოჰპრუბლამს, მოემზადება თითქოს საიდუმლოს მისაღებათ და ბოლოს მოჰყეება: „ჰმ... დროს ავტულებს ასხმა გვემტკიცებს, რომ იმას არ უნდა შეეძლოს გაფრენა. — მართალია, ამ საგანზედ თუშცა არას

იხსენიებს ისტორიკოსი ბოკლი და თვით დარინიც არას ამბობს, მაგრამ ჩემის ჰაზრით კი სწორეთ ასე უნდა იყოს, რომ დროი ვერ უნდა გაფრინდეს!...”

ამას რომ იტყვის, მართლა იმის თანა სახეს მიიღებს, რომ თითქოს ქვეყანას აყვედრიდეს: მე რომ არ ვიყო, რაღა გეშველებოდაო და სხე...

ის უგუნურება იმისაგან მოსდით ამ საწყლებს, რომ საკუთარის ტვინით თავის დღეში მათ არ უმუშავიათ და ყოველთვის ყოფილან სხვის ტვინის მოძნებად. რისაგან მოსვლიათ ეს უბედურება? აი, რისაგან:

შმაწვილის ტვინსა და გონებას ავარჯიშებენ მისთანა საგნებზედ, რომელიც მისს ახლოს, მისს გარეშემო არის, რომელსაც ის კარგათ იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლიან სჯა. ამ ბედნიერებას ჩვენი ახალგაზდები მოკლებულები არიან. შოველივე მშობლიურზედ ხელ-ადებულები არიან. იმაზედ ესაუბრებიან, რაც მისს ბუნებას შორს უძვე: თავის თანშობილ ხალხის ნაცვლად ოდესმე არსებულს რომის ხალხსა და ბერძნებს აცნობენ. დედა ენას სრულებით ყურს არ უდგებენ და იშვილათ ხმარობენ. მათს სასწავლებელსა ყმაწვილო წიგნებში მისთანა ამბები და მისთანა ბუნების მოვლინებები აქვსთ აწერილი, რომელიც უცხოა მისის ბუნებისა და ამითიძულებულნი არიან, რომ ჩვენი ახალგაზდები იმთავითე მიენდონ მხოლოდ მესხიერებას, კაქაკის გვარად იზეპირონ და მსჯელობაზედ ისუსტონ.

ამ გვართ, რასაკვირველია, ჩვენს ახალგაზდობაში ქართულუტების რიცხვი მეტია, მაგრამ ჩვენი ბედი კიდევ ის, რომ ამ ქართულუტებს თავის თავად არა შეუძლიანთ რა და უთუოდ უნდა მიეკედლონ ხოლმე რომელიმე ძალას. ღა რადგანც ახალთაობაში ის შემოხსენებული ორი გუნდი შეადგენს ძალას: მუშები — პატრონანს და ნამდვილს და გაიძვერები კი თვალთმაქცობით, ამისათვის ქართულუტებიც უთუოდ უნდა მიეკედლონ ან ერთსა და ან მეორეს და რადგანც ისინი ქარქვეტაებათ ხან იკით გორავენ და ხან აქეთ (თუშცა თვითონ კი ვერ გრძობენ ამას, თავი თვითმყოფელი ჰგონიათ და იბერებიან), ამისათვის იმათგან კარგაც უნდა ელოდეს კაცი და ცუდსაც: თუ მუშებმა გადიულოის, ხომ კარგი და თუ გაიძვერებმა, მაშინ კი ვნებას მოიტანებენ სხვისი ჩაბერით.

აქ ვათავებთ ამით ამ ქართულუტებზედ სჯას, რადგანც ახალგაზდობაში რამე ძალათ არ მიგვაჩნიათ ი'ინი

და განესჯით ახლა იმ ორსღა: კეთილ მუშებსა და გაიძვერა მუშებს.

ბაკი

დღიური

ამ ჟამად ჩვენს ქალაქში ძალიან გახშირებულია ყელის ავთიმყოფობა. აქაური ექიმების საზოგადოების პროტოკოლში სწერენ, რომ ეს ავთიმყოფობა (დიფტერიტი) განსაკუთრებით ყმაწვილებშია გავრცელებულიო და ბევრსაც ჰხოცავსო.

ქ. მდებსიღამ გვეწერენ, რომ ამ მარტის 13-ს იქ ერთი ჩვენებური სტუდენტი სერგეი ძანდელაკი გადაცვლილა. ახალგაზდა (20 წლის) მიცვალეული ნიჭიერი და საიმედო ყმაწვილი ყოფილა; მაგრამ საწყალს არ დასცალეზია... პეტერბურდის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში სწავლობდა თურმე, ზამთარში გაციებულა და ექიმებს ურჩევიათ, ძავკასიაში დაბრუნდიაო. მაგრამ მდებსსაში რომ ჩამოსულა, ლოგინში ჩაწოლილა და ერთი თვის შემდეგ კიდევ მიცვალეზულა. ამხანაგებს ყურის გდება და შოველა არ დაგვიკლიაო, გვეწერენ, მაგრამ უწყალო სიკვდილს მაინც ვერ გამოეცალეთ კლანჭებიდამაო...

მომავალ ნომრიდამ ჩვენ ვიწყებთ „თიანეთის გამსესხებელ-შემსახველი ამხანაგობის წესდების“ ბეჭდვას და იმედა, სამს ან ოთხს ნომერში სრულად დაიბეჭდება. ითუშცა ეს „წესდება“ ვერ სასოფლო ბაზეთში“ დაიბეჭდა და მერე ამავე გაზეთის რედამციათ ცალკე წიგნათაც გამოცდა, მაგრამ მივიღებთ რა ერთის მხრით მხედველობაში იმ სიძნელეს და გაჭირებას, რომლითაც ვრცელდება ჩვენში საზოგადოთ ქართული წიგნები და მეორეს მხრით იმ გარემოებას, რომ ამ „წესდების“ გაცნობა „დროების“ მკითხველებისათვის საქრო და გამოსადეგი იქნება; ჩვენს გაზეთშიაც ებეჭდავთ.

ახალციხიდან იწერებიან „თიანეთის მოამბეში“, რომ ამ მაზრის 22 სოფლის საზოგადოებას სასოფლო პურის მალაზიების გახსნის სურვილი გამოუტხადებიათ. ზოგიერთ მალაზიაში ახლაც არის თურმე შეტანილი პური, დანარჩენში კი წელს შემოდგომაზე უნდა შეიტანონ. ამასთანავე იწერებიან, რომ მცხოვრებლებს უთხოვნიან, თუ ეინცობაა, დიდს ხანს დარჩეს მოუხმარებელად პური მალიზიაში, მაშინ ეს პური გაიყიდოს და შემოსული ფულებით იმავე სოფელში ბანკი გაიმართოსო. ამბობენ, ამ

კეთილ საქმეში ადგილობრავ უფლის ნახალობის მხურვალე მონაწილეობა მიუღია.

□ ამ წლის 25 ენკენისთვის ქაეკასიის სამეურნეო საზოგადოება, შმაღლის ნებართვით, აპირებს თავის 25 წლის არსებობის დღესასწაულს. ამ იუბილიის დროს საზოგადოებას, სხვათა შორის, ჰსურს ზოგიერთს სამეურნეო საგნებზე სჯა გ. მართოს საზოგადო კრებებში. მოგვყავს ის კითხვები, რომელზედაც სჯა იქნება:

ა) რაში მდგომარეობს ნაკლები-განება იმ სახნავი იარაღებისა, რომელთაც ამ ჟამად ქაეკასიაში ხმარობენ? რა საშუალებით შეიძლება ამ იარაღების გაუმჯობესება? შეიძლება თუ არა, რომ ქართლური გუთნის-დედისა და იმერული სახნის მადიერად ეფროპიული გაუმჯობესებული სახნავი იარაღები შემოვიღო?

ბ) როგორი სამკაცი იარაღები უფრო გამოსადგეია ქაეკასიის მეორენობისათვის?

გ) რა ღონისძიების მიღება შეიძლება, რომ ქაეკასიაში ხალხს საზრდო არ შემოაკლდეს?

დ) რა ღონისძიება უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ ქაეკასიაში ღვინის მოყვანა უკეთ წავიდეს და ადგილობრივი ღვინოები ადეილად გასაღდე?

რ. ს. კვიციანი, ძლიან სასარგებლო და სასიამოვნო იქნება, რომ იუბილის დროს შეკრებილმა საზოგადოებამ ყველა ეს კითხვები ახსნას, ყველაზე ჯეროვანი პასუხი მისცეს მაგრამ მარტო თეორეტული მოლაპარაკებით, მარტო სჯით და სიტყვიერად ამ გვარი საქმეების გადაწყვეტით, უეჭველია, ბევრი არა გამოვა რა, თუ საზოგადოებამ ნამდვილად პრაქტიკაში მოყვანა არ იკისრა, და ამ საზოგადოებას, თუ მოინდომებს, იმდენი საშუალება კი აქვს, რომ მარტო მშრალი სიტყვებით არ დაკმაყოფილდეს.

□ ზაზეთი „მაეკაზი“ გვაცნობებს, რომ ქენახშირის საქმის ერთი მოთავეთაგანი თფილისში სპეციალური გაზეთის გამოცემას აპირებს, რომელსაც ერქმევაო სახელად „მაეკასიის წარმოება“.

თვე არ გავა, რომ „მაეკაზმა“ ხან ერთი და ხან მეორე ახალი რუსული გაზეთის გამოცემა არ გვახაროს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ არც ერთი იმის აღქმული გაზეთი კი არ დაბადებულა.

□ ამ მარტის 24 დამ იწყება ზაფხულის რეისი რუსის საზოგადოების ხომალდებისა და ამის გამო ამ რიცხვიდამ დაწყებული 21 ოქტომბრამდე ცეცხლის გემები შოთილამ ოღვისისაკენ ორშაბათობით გადგენ, დილის 8 საათზე. სტამბოლისაკენ კი მთელი წლის განმავლობაში კვირადილაობით მიდის.

□ შარშანწინდელი წლის განმავლობაში ბაქოს ნავთის წყაროებიდამ 2,908,902 ფუთი ნავთი გაუტა-

ნიათ. შარშან კი თითქმის ორი ამოდენი: 4,533,935 ფუთი.

„ღ რ ო შ ბ ა“ კ ო რ ა მ ს ო ო ო ო ო ო ო ო ო

პლენიდან, მარტის 20-ს

პლენი მდებარეობს მდინარე ალაზნის გაღმა, ჩრდილოეთის მხარეს. აქ წოვა თუშები სცხოვრობენ. ალენის მინდვრები ძრიელ ნაყოფიერებია, ასე რომ, რასაც კი კაცი დასთესავს და იზრომებს მანდ ფუჭათ არ ჩაუვლის და საქმოდ დაკმაყოფილება მიწის მოსავლით.

მაგრამ ეს წოვა თუშები არ მისდევნ ხენა - თევის; ესენი უფრო ცხვრის ფარებით და სხვა პირუტყვების ჯოგებით სცხოვრობენ.

აქ ისეთ ნაკლებ ოჯახს ვერ იპოვით, რომ ხუთასი სული ცხვარი და ოც და ათი ცხენი არა ჰყავდეს. ცხვარი ამით წელიწადში ორჯელ აძლევს სარგებლობას: გაზაფხულზე და შემოდგომაზე, რადგანაც ამ დროს იპარსებიან ცხვრები. შევსა, რძეს, ერბოს და სხვა თეთრეულს ხომ ვილა იტყვის. მეტადრე ვისაც მომეტებული ცხვარი ჰყავს, გაზაფხულზე გაკრეტილი მატყლიდამ და ყველიდამ უკანასკნელს ას ორმოც თუმანს მაინც ამოიღებს. მთუ ამანდ მეტს არა ნაკლებ სარგებლობას არ ნახავს თუშში შემოდგომის მატყლიდამ და გომის მატყლიდამ და თეთრეულიდამ, რადგანაც შემოდგომის მატყლი და თეთრეული უფრო კარგი ღირსებისანი არიან და ძვირათაც იყიდება, ვიდრე გაზაფხულისა. მართის სიტყვით, თუშები ფულით საქმოდ მდიდარნი არიან, მაგრამ ეს სიმდიდრე სრულებით არ ეტყობა იმათ ყოფაცხოვრებას: ისე ისე უხეროდ და უფაქიზოთ ცხოვრობენ, როგორც უქონლობის დროს.

წოვა თუშები მწყსიან თავიანთ ცხვარს შემოდგომიდან მოკიდებული გაზაფხულამდინ შირაქის მინდვრებზედ. გაზაფხულზედ კი, რაკი დღეები გათბება, დაიძვრებიან ესენი დედა-ბებიანად ცხვრის ფარებით და სხვა პირუტყვის ჯოგებითა და გასწვევენ სხვა და სხვა კივი მთებისაკენ, რადგანაც შირაქის მინდვრებზე გაზაფხულამათ ძრიელა ცხელა და ცხვარს სიცხავს. თვითონ მცხოვრებლებიც იმიტომ მიდიან მთებზედ, რომ ზაფხულობით ალენი ძრიელდამცდელია, ასე რომ ძრიელ ბევრი არ ურჩება ხოლომე სიკვდილს. ზაფხულობით რომ წოვა თუშების სოფლებში მიხვიდეთ, ორ კაცს ვერ იპოვით, და თუ იპოვით, ისიც იმიტომ იქნება დამდგარი, რომ უყარაულოს სახლებს, რომლებშიაც მთლად თუშების ზოგიერთი ნივთებია შენახული რისთვისაც იმას, როცა თუშები ბრუნდებიან მთებიდან, ოროლ-სამსამ ყველს აძლევენ.

შემოდგომაზედ თუშები რომ სახლში დაბრუნდებიან, მაშინვე დაამზადებენ საფქვილე გოდრებს და ტომრებს, აგრეთვე ქვევრებს, რომლებიც თითქმის ყველა შეძლებით

უკანასკნელს თუშსა აქვს მიწაში ჩაყრილი. მერე გასწვევენ ქართველების სოფლებში პურის, ღვინის და სხვა საჩხო საბადების შემოაჭარხნად.

ზოგი მათგანი გასესხებულ ფულის სარგებელში იღებს პურსა და ღვინოს, ზოგი დაგირავებული ეწახებიდგან და ზოგი კი ჰყიდულობს. ზოგი თუშში იმდენ საჩხო საბადებლს იყიდის ხოლომე, რომ ორ სამ წელიწადს ეყოფა; ეს იმიტომ, რომ გაზაფხულზედ თუ შეატყო რომ პური ცოტა მოვა შეინახავს და იმავე გლებებს, რომლებსაგანაც იყიდა, ერთი ორად მიჰყიდის, თუ არა და შეინახავს.

ამასაც ვიტყვი, რომ ისეთი კახელი კაცი არ იქნება, რომელიც კი ამ თუშების ახლოს სცხოვრობს, რომ ამათი ფული სასარგებლოთ არ ემართოს. იმაზედ ახლო მდებარე ქართველების სოფლებისთვის ისინი ისეთნივე არიან, როგორც ურიები...

პლატონ შომინ-საგარელი

ბიბლიოგრაფია

პირველი წიგნი

წერა - კითხვის სასწავლებელათ, შედგენილი სურათებით ამერიკულ მეთოდაზე სასოფლო შკოლებისათვის რ. ისარელი შეიღისაგან.

ჩვენ ველოდებით ამ ზემოთ მოყვანილ ანბანთან „საწერ რეეულის“ და მეორე წიგნს — „წერა კითხვის სასწავლებლად“ რომლებიც აგვითქვავტორმა, და გვინდოდა, რომ სულ ერთად წარგვედგინა მკითხველთათვის ამ წიგნების ანგარიში, მაგრამ აქამდის არც ერთი და არც მეორე არ გამოსულან. ამისგანომ ჯერ ჯერობით გავაცნობთ მკითხველს მოკლებთ ამ „პირველ წიგნს წერა-კითხვის სასწავლებლათ.“ მაგრამ ჯერ საქროთ ვრაცხთ რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ შესახებ ახალი და ძველი მეთოდებისა ანბანის შესასწავლად.

ძველათ, და ბევრიც ეხლაც, პირველათ ასწავლიდნენ ასოებს, იმათ სახლებს, მაგ. ან, ბ ა ნ, დ ო ნ და სხვ. ასე გაიზვიარებდ ბავში ყველა ასოებს, ვიდრემდის ის კარგათ არ დაისწავლის. ახლად სჩანს აქედამ, რომ თუ ამ ნაირად ნასწავლმა შეგირდმა დაინახა სიტყვა, მაგ., ხ ა ლ ხ ი, ის წაიკითხავს ხ ა ნ - ა ნ - ლ ა ს - ი ნ - ხ ა ნ - ი ნ; მაგრამ ეს ასე არა ხდება, აი რისთვის: როდესაც ასე გააკვეთინებენ ანბანს, მაშინ გადაეღენ მარცვლებზედ, იქიდან სიტყვებზედ და აქ შეგირდს, შემდეგ ხანგძლივის ტანჯვისა და წვალებისა, მიჩვევენ მარცვლების და სიტყვების წაკითხვას ისე, როგორც ისინი გამოითქმებიან. აქ მოსწავლე გაგებს, რომ ანი არის ა (ხა) და არა ანი, ბანი არის ბ (ხა) და არა ბანი და სხვ. მაგრამ ამ ნაირ სწავლების შემდეგ იმათ სჩემდებთ ერთი ჩვეულება, რომელიც მთელს სიციცხლეში გასტანს: ყველა უხმო ასოთ კითხვაში და წე-

რაში უმატებს ა-ს — კითხვაში, როცა ჩასთელის, დაწერაში ჰქონების ყოველთვის: მ ა გ ლ ე რ ი მ ე რ ი ს მ ე მ ს თ ე ლ ის ასე: სახალი; და მაშინ სადამე. ასეც სწერს; მაგრამ ბოლოს დროს გამოჰყავთ ისეც სახალი. ამას ცხადათ შენიშნავს ის, რომელსაც ექნება შემთხვევა წაკითხვის სოფლის ქალების და კაცების დაწერილი წიგნები, ან გაიგონოს იმათი კითხვა. ეს წარმოსდგება იქიდან, რომ შემდეგ ამ გვარად ანბანის შესწავლისა, შეგირდს დიდხანს ავიარჯიშებენ სიტყვების ჩათელაში. მაგ. მთას კითხულობენ ასე: მო-ა-მა-თ-ა-თ-ა-თა-და სხვა. ეს ახალი ჩვეულება, ე. ი. ყველგან ა-ს მიმატებას, ისე ეჩვევიან, რომ უამისოთ არც ერთს ასოს არ წაიკითხვენ, თუ კარგათ არა აქვთ კითხვა გაკვეთილი.


ამმეთოდით მოსწავლე სწავლობს იმას, რაც იმისთვის არამც თუ საჭიროა, არამედ საენებელი და დამაბრკოლებელია, და რომელიც შემდეგ უნდა დაივიწყოს, თუმა ყველა ეს იმას ხშირად ცემა-ტყვით და ცრემლის ღვრით შეუსწავლია. ჩვენ არ ვამბობთ, თუ რა გავლენა ჰქონდა და აქვს ამგვარი ანბანის სწავლას ყმაწვილის გონების განაზრდ, იმის ზნეობაზედ, ხასიათზედ, იმის სწავლის შეყვარებაზედ, — ეს ყველამ იცის და უნდა იცოდეს; ეს უნდა იცოდნენ უფრო იმათ, ვინც იღებენ ხელში მალალ თანამდებობას, რომ აღზარდონ ახალი თაობა.

ახალი მეთოდი ამ ნაკლებეანებათ იცილებს. რაც საჭირო არ არის თვით ლაპარაკში, ახალი მეთოდი თავს ანებებს და ასწავლის მარტო იმას და ისე, რაცა და როგორც სიტყვებში და ლაპარაკში გამოითქმის.

ჩვენი სიტყვები შესდგებიან უბრალო და დაუყონებელის ხმებისაგან. *) მაგ., როცა წარმოვსთქვამთ სიტყვას: მ ც ე ნ ა რ ე — ჩვენ ვამბობთ შეიღ ხმას. ეს შეიღ ხმა შეადგენს ამ სიტყვას. მთელი ჩვენი ბასი, ლაპარაკი, შესდგება ძლიერ ცოტა ამ უბრალო ხმებისაგან. მე რომ ლაპარაკი გადავიტანო ქადალზედ, უნდა ვიცოდე მარტო ამ უმთავრესი და უბრალოესი ხმების დახატვა, ნიშნები. ეს ნიშნები არის ასოები. მაგ. ბ არის ნიშანი იმ ხმისა, რომელიც ითქმება ძლიერ დაბლა და ძველად.

შთაგრესი მიზანი როგორც ძველი მეთოდის, ისეც ახლისა — არის, რომ

*) მე კარგათ ვგანძობ, რომ ეს სიტყვა ვერ ჰხატავს კარგათ იმას, რაც მიწდა ვსთქვა, მაგრამ ამაზედ უკეთესი მე ვერ მომიძებნია... სამწუხარო ის არის, რომ ბევრს ამისთანა სიმწელეს ვხვდებით და ისინი, რომლებმაც იციან უცხო ხალხების ენები და თავის სამშობლოს ენა საუფუძლიანათ, უფრო მიგდებულნი უტყვონ ქვეყანას... ასოს ხმარება ამ ადგილს მე ვერ შემიძლიან, რადგანაც ასო არის ნიშანი ხმისა, და არა თვითონ ხმა. ამიტომ არ შემიძლიან გავამართლო შეცდომილება ამ ანბანის ავტორისა, რომელიც ასოს ხმარობს ხმის მაგიერათ და ასე რებს ორს ტერმინს, და არეს თვითონ მოსწავლეთს გაუგებსა...



მოსწავლემ სიტყვა წაიკითხოს იგი, როგორც გამოითქმება. მაგრამ ყველა სიტყვა, როგორც ზევით ნათქვამია, შესდგება უბრალოდ ნაწილებით, ელემენტებით, რომლებიც არის ხმები. მე რომ სიტყვას ვამბობ, მაშინ ვამბობ თითო თითო ხმას, მაშასადამე, როგორც ძველი, ისე ახალი მეთოდით ბოლო დროს ისევე ამ უბრალო ხმების გამოთქმასთან მობლივი. მაგრამ ძველი მეთოდი ამ ხმების ნაწილებს, ასოებს, სხვა სახელებს არქმევს და ასე სწავლობს. მაშრომა არის სულ გამოუსადეგი. ახალი მეთოდი ასოებს არქმევს იმს ხელებს, როგორც ისინი ითქმებიან ჩქარა კითხვაში, ან უკეთ ესთქვათ, როგორც ამ ასოების თანაბარი ხმები ითქმებიან სიტყვებში, ლაპარაკში; ახალი მეთოდით ანბანი იკითხება ასე: აა... ბბ... გგ. და არა ან, ბან.

ასე, ძველი მეთოდები საუფედელათ იღებენ ხმის ნიშანს, ა სო ს, ამიტომ იმათ შეგვიძლიან დავარქვათ ასო უ რ ი მ ე თ ო დ ე ბ ი. ახალი მეთოდები საუფედელათ იღებენ თითო ხმას, ამიტომ იმათ შეგვიძლიან დავარქვათ ზ ხ მ ო ე ა ნ ი მეთოდები. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ანბანის შესწავლა ორგვარი გზათ: 1) ჯერ შეიძლება ასოები შესწავლოს ხმოვანი მეთოდით; ამ ასოებისაგან შეადგინოს მარცვლები; მარცვლებისაგან სიტყვები, სიტყვებისაგან წინადადებები. ეს იქნება ხ მ ო ე ა ნ ი ს ი ნ ტ ე ტ ი უ რ ი მ ე თ ო დ ი. 2) შეიძლება წინააღმდეგ: წინადადებები დაიყოფა (გაანალიზდება) სიტყვებით, სიტყვები მარცვლებით, მარცვლები ასოებით, და ასე გამორჩეული ასოები შესწავლება ისევე ხმოვანი მეთოდით. ეს შეადგენს ხ მ ო ე ა ნ ა ლ ი ტ ი უ რ მ ე თ ო დ ა ს. არის კიდევ მესამე, უახლესი და უკეთესად მიღებული მეთოდი, რომელსაც არჩევენ ორივე ზეაოთ ნახსენებ მეთოდებისაგან; ეს არის, არაუთუ, — ანალიტიურ — სინტეტური მეთოდი, რომელსაც დარქვენ ს ი ნ კ რ ე ტ ი უ ლ ი. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს ცალკე მეთოდით არ უნდა მიღებოდეს. როგორც მეცნიერების გამოკვლევაში თითოეული მეთოდი არას დროს არ უნდა იხმარებოდეს ცალკე; როგორც ყველა გამოკვლევაში და გონებით მოძრაობაში ყოველთვის ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთს სცელიან და ეწევიან, ისეც ამ შემთხვევაში უფრო უკეთესი შედეგი მაშინ გავა, როდესაც ორივე მეთოდი ერთად იხმარებიან, როდესაც ისინი სცელიან და ეწევიან ერთმანეთს, საცა პ ი რ ე ე ლ ა დ ა ნ ა ლ ი ზ ი უ ნ დ ა უ ძ ლ ო დ ეს ს ი ნ ტ ე ს ს, ესე იგი, ჯერ უნდა სიტყვა დაიყოს მარცვლებით, მარცვლები ხმებით, და შემდეგ ხმებისაგან უნდა შესდგეს მარცვლები, მარცვლებისგან სიტყვები...

ის ნიშანი, რომ ამ მეთოდში შედის ბევრი სხვა საგნები და წერა კითხვის ერთად შეერდება—არ არის საკმარი, რომ ეს ცალკე მეთოდს

შეადგენდეს, რადგანაც შეიძლება, რომ ყველა ესენი შევიდნენ ზემოთ ნახსენებ მეთოდებში. მაშასადამე, ეს ცალკე მეთოდს არ შეადგენს, თუ მეთოდს არ მივეცით თავისი ნებითი ახსნა და გაგება. საზოგადოდ, ახალი პედალოები სხვა კიდურში გადაიარდნენ: ისინი იგონებენ ბევრს მეთოდებს, ბევრს ამ მეთოდების ქვეშეცხრდომ მეთოდებს, ბევრს უსარგებლო და საენებელ დარჩევბაებს, რეცებტებს, რომლებითაც უკრავენ მასწავლებლებს ხელებს, არ აძლევენ შემთხვევას, რომ იმათ თავისუფლათ იმოქმედონ.

აქ უნდა მოვიხსენოთ კიდევ ის, რომ ახალი მეთოდით წერა გაუყოფელათ შეკავშირებული უნდა იყოს ანბანის შესწავლასთან და კითხვასთან. როცა შევირღმა შეისწავლა ასო, მაშინათვე უნდა დასწეროს ის, როცა წაიკითხა სიტყვა, იმათ უნდა დასწეროს ის. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ შევირღი ამ წერისთვინ უნდა იყოს მომზადებული.

(შემდეგი იქნება)

ქრონიკა

სტატია IX

ქართული დამსტანში

მთელს იმ დროს განმავლობაში, ვიდრე საქართველოს სამეფო არსებობდა, ისრეთი ჩვეულება არსებობდა, რომ როცა მძლავრი მტერი შემოესეოდა საქართველოს, ქართველები ჯერ შეებრძობებოდნენ მტერს და თუ ის დაამარცხებდა ქართველობას, მერმე მეფე გასცემდა თავის სამეფოში ბრძანებას, რომ ხალხი შეხიზნულიყო მთის სიმაგრეებში. ამისათვის ყველა ხეობის მცხოვრებლებს თავ-თავისი შესახიზნავი სიმაგრეები, კოშკები და ციხეები ჰქონდათ.

მთის სიმაგრეებში ხალხი იმ დრომდე იმყოფებოდა, ვიდრე მტერი არ გავიდოდა საქართველოდგან.

ამგვარი მუდმისი გადასახლება და გამოსახლება მით იყო მაინე ქართველ ხალხისათვის, რომ მრავალი გადასახლებული ქართველი ხიზანი ქვეყანის მთებიდგან აღარ ჩამოდოდა ბარში და სამუდამოდ იქვე სახლებობდა. მათის ისტორიის მე ვნ გე. ტიემურაზ ბატონიშვილი ასრე მბობს: „ქართველნი, დამტყეებლნი ველთა და ვაკეთა ადგილთანი შეივლტოდეს მათთა შინა ქვეყანათა, ხეთა შეუფალთა და სიმაგრეთა და ამითი მოირიდეს უცხონი, რომელ სიმაგრეთა მათთა გამო ვერლარა ერედეს მტერნი; მათ შორის იყო ქრისტიანობაც, რომელიცა ვერათ სარწმუნოებითა ბერქენ ქართველთა და წესითა მათთა, სციმიდენ ენასა ქართულსა, ვიდრე ტიემურ-ლანგამდე“.

მწარე ისტორიული გარემოებისა გამო ქვეყანის მთებში ანუ უფრო უკეთათ ესთქვათ შეხიზნული ქართველი ხალხი რომ აღარ ბრუნდებოდა ძხეთში და სამუდამოდ იქ ლეკებში სახლდებოდა, თავის მამაპაპის სარწმუნოებას არა სტოვებ-

დნენ. შექველია, რომ ამ ხიზნებს თან მიჰყვებოდნენ დედლები. ეს სულიერნი მამანი ხალხს სარწმუნოებას არ ატოვებინებდნენ, და ხალხის სალოცავად აწებებდნენ ღალესტანში ეკლესიებს. აი ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღესაც იპოვიან ღალესტანში დაქცეული ეკლესიები.

ქვეყანაში ღალესტანი არამც თუ ამდროს, არამედ მულამ ქვეყანის ხალხებისთვის ისრეთს მიწა-წყალს შეადგენდა, რომ იქ ყველას შეეძლო თავი შეეფარებინა მტრისაგან და ეცხოვრნა თავისუფლად თავის სარწმუნოებაზე. აი ეს არის იმის მიზეზი, რომ დღეს იქ მრავალი ენის და ტომის ხალხები იპოვიან. ანწუხის ლეკებთაგან თურმე ახლაც მრავალნი ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. ახტის ხეობაში, როცა 1869 წელს მე მოვგზაურობდი, მრავალმა ლეკმა მითხრა, რომ ჩვენ ქართველი შთამავლობისანი ვართო.

რადგან საქართველოს მეფეებმა და სასულიერო წოდებამ კარგად იცოდნენ ისტორია აქ გადასახლებული ქართველებისა, ამისათვის, როცა შინ გაძლიერებოდნენ, გარეშე მტერი ვეღარ აწუხებდა, უგზავნიდნენ ამ ქართველებს ღალესტანში მისიონერებს, ისინი უქადაგებდნენ ხალხს მამა-პაპის სარწმუნოებას, არიგებდნენ, რომ იმათ არ დაევიწყებინათ ქართული ენა და უყენებდნენ კანონიერად ნაკურთხ მღვდლებს. საქართველოს ყველა მძლავრ მეფეებთაგან არცერთი არ არის, რომ ასრე არ მოქცეულიყოს. როცა ისინი შინ დამშვიდებოდნენ, მაშინვე თავის ყურადღებას ღალესტანს მიექცევდნენ ხოლმე და ყოველს მეცადინეობას ხმარობდნენ, რომ ქაქურს ქართველებს არ დაეკარგათ არც თავისი სარწმუნოება და არც ხალხობა. მათის კაბადონზე „ქართლის ცხოვრება“ ამას მოწმობს, და უფ. პლ. იოსელიანი კიდევ თავის თხზულებებში უჩვენებს მრავალს მღვდელმთავარს, რომელთაც მთებში უქადაგნიათ. მეფეებისა და ქართველი სასულიერო წოდების ამგვარი მზრუნველობა ღალესტანის ხალხზე მხოლოდ ამათი ქართველი შთამავლობით აიხსნება.

იგივე ტიემურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ ღალესტანში ყველა თემს თავისი ბატონი ჰყვანდა; მაგრამ მათგან ახლა, ესე იგი 1806 წელს, შამხალი ოარყის მეტი აღარა იგიინა არისო.

შელო ამ ჩემ მიერ ნათქვამის ფაქტიკურად დასამტკიცებლად მე მოვიყვან ერთ ინგილოს ხელში მყოფ გუჯრის თათრულს ენიდგან ჩემგან ქართულს ენაზე ნათარგმნს: „ზურაბის შეილმა, ეს დაიწყება გუჯარი, ბიორგი ოორღიმა, შეჭყარა თავისი ძმები და იმათთან არჩია შთამავლობის სამახსოვროთ თავის გვარის წარსრულ ცხოვრების აღწერა: ზურაბის შეილი ბიორგი დასახლდა ღალესტანს სოფელს წახურში. მაშინ წახურში იყო 1,200 კომლი. ამდროს ბიორგი ისრეთი წარჩინებული და

მძლავრი იყო ვითარცა სოლომონ ბრძენი. ამავე დროს ქართველები ში იჯდა ბიორგის მძლავრედილირი-ბატონი შეილი ღემურ შოლადისა. ბიორგის სამფლობელოს შეადგენდა წახურის ხეობა სართ-დაღამდე; მაგრამ წახურის ხეობაში იყო მხოლოდ სოფელი წახური და ოთხი კომლიც მუხხახის დარაში სცხოვრებდა. სხვა არაიენ იყო. ბიორგის ისრეთი ჩვეულება ჰქონდა, რომ კვირაში ერთხელ თავის წარჩინებულეებით სალოცავად მიდიოდა სოფელს შანს (ცხლა ლეკები ეძახიან: „ხულებიან“), აქ იყო ეკლესია და იჯდა არქიელი. სამ დღეს ამ არქიელთან რჩებოდა და ეკლესიის ეზოში იმასთან ქვეყნის სარგებლობაზე მსჯელობდა და ზრუნავდა და მერმე მთელს თავის ამალით ისევე თავისივე სამფლობელოში მოდიოდა. პრთ დროს სცემი ბეგის პლიბეგის შეილმა პლიბეგმა, რომელიც იღვა სოფელს ხიწში, შეჭყარა დიდი ჯარები და გამოილაშქრა ბიორგისე; მაგრამ ბიორგიმ პლიბეგი დაამარცხა და მოუკლა 800 კაცი. ამის შემდეგ პლიბეგის საქმე ძალიან გაძნელდა და ამისათვის ბიორგის შენდობა სთხოვა. ბიორგიმ შეუწდო, შერიგდა და სთხოვა შენის სახლობით ჩემთან გადმოსახლდითო. პლიბეგი თანახმა გახდა და მოვიდა სოფელს წახურში. ბიორგიმ საცხოვრებლად იმას მისცა სოფელი ჩარდახი და აი ეს კაცი შემდეგში გახდა ერისთავად სოფლის მუხარიდგან დაწყებული ვიდრე შუმის ქალაქამდე (შუმი არის სოფლის ძაკის მახლობლი). ამდროს ბიორგი მთელის თავის ხალხით ქრისტიანი იყო. ხოლო შუმიდგან დაწყებული ვიდრე შამიელამდე ეკუთნოდა ოორღლუს. აღმოსავლეთით ოორღლუს სამფლობელოს მიჯნად იყო რუთულის მიწა-წყალი. ამ ოორღლუს სამფლობელოში სცხოვრებდა მისი ბიძაშვილი ნადირიცა. ამსახით ეს მიწა წყალი გაიყვეს ბიორგიმ, პლიბეგმა და ბიორგის ძამ ოორღლუამ, ღემურ-შოლად-ოლიმ და ამის შეილმა ნადირმა თავის შეილებითურთ, ღემურ-ფოლადი მოვიდა აზნაურში (მურმუხის ელინარის მარჯენივ, ძაკის სოფლის პირდაპირ); იმისი შეილები კი დასახლდნენ მარცხნივ სოფელს ოორღალიში (ესი იგი ძაკში).“

ეს გუჯარი არის დაწერილი 1423 წელს და მასში შესანიშნავი ის არის, რომ იმაში თათრული სიტყვების ნაცვლად, ქართულად არიან ნახვარნი სიტყვები: ბატონი, არქიელი, ეკლესია და ქალაქი. ამ სიტყვებს ინგილოები ახლაც ხმარობენ და ეს ამტკიცებს, რომ წახურის ხეობაში მცხოვრები ხალხები მე-XV საუკუნეში ქრისტიანები ყოფილან და სცოდნით ქართული ენა.

ამ კითხვას უფრო კარგად გამოვიკვლევდი და ავსხნიდი; მაგრამ საუბედუროდ ხელად არა მაქვს „Акты Археологической комиссии“, რომელშიაც ამ საგანზე სასურველო ფაქტები არიან მოყვანილნი. ახლა ამით

